

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 4304

ბიზნეს სექტორი: ენერჯეტიკა

შეტყობინების ტიპი: საჯარო

გარემოსდაცვითი კატეგორია: B

საბჭოზე გატანის თარიღი: 18 ოქტომბერი 2017

სტატუსი: იმყოფება სესხის დაფარვის პროცესში

პროექტის აღწერის გამოქვეყნების თარიღი: 2 ოქტომბერი 1998

პროექტის აღწერა

პროექტის მიზანია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია, რათა დაბალ ფასად მოხდეს საქართველოში არსებული კრიტიკული ენერჯოდეფიციტის შემსუბუქება და გაიზარდოს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი სარგებელი.

პროექტის ზოგადი მიზნებია:

- i) განახლებადი ენერჯის ხელმისაწვდომობის გაზრდა ქვეყანაში და
- ii) ენგურის სადგურის ოპერაციული უსაფრთხოების გაუმჯობესება

პროექტის მიზნები

სესხის გაგრძელების შეთავაზება, რომელიც განიხილება 2017 წლის მეოთხედში და სესხის ოდენობის გაზრდა რომელიც განიხილება 2019 წლის მეოთხედში, მიზნად ისახავს სადგურის საიმედოობისა და ოპერაციული შესრულების გაუმჯობესებას, ენგურის გვირაბისა და მილსადენის რეაბილიტაციის პროგრამის მეშვეობით. პროექტი ასევე დააფინანსებს ენგურის გადართვის პუნქტების, ვარდნილი II-ის კარიბჭეების, მდინარის სადერივაციო ქსელისა და მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, ისევე როგორც, ნალექების მართვის გეგმის დანერგვასა და ოპერაციული პროცედურების გაუმჯობესებას კლიმატური ცვლილებებისადმი მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტის განხორციელება შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას გაზარდოს ქართულ კონტექსტში ელექტროენერჯის ყველაზე ეკონომიკური წყაროს წარმოებითობა. ის ასევე დააბალანსებს ქართული ელექტროენერჯის სისტემას და ხელს შეუწყობს საბაზრო ოპერაციებს.

ინიციატივა თანხვედრაშია ბანკის ეკონომიკური გარდაქმნის მწვანე მიდგომასთან და ექნება მწვანე გარდაქმნის ეფექტი იმ ფონზე, რომ მოიტანს მნიშვნელოვან სარგებელს (i) კლიმატური ცვლილების შერბილების კუთხით, ქვეყნის მთავარი ჰიდროელექტროსადგურის ენერგოეფექტურობის გაზრდის მეშვეობით და (ii) კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციის კუთხით - კლიმატგამძლე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობით, სადგურის ოპერაციების მარეგულირებელი გარემოს გაძლიერების გზით მდინარის აუზის დონეზე.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს მთავრობა

მსესხებელი საქართველოს მთავრობაა, რომელიც, თავის მხრივ, სესხს გასცემს შპს ენგურჰესზე, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ სპეციალური დანიშნულების კომპანიაზე, რომელიც ფლობს და ამუშავებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურს.

EBRD-ის დაფინანსება

38,000,000 აშშ დოლარი.

ევრობანკის ჯამური დაფინანსება, განხილვის სტადიაში მყოფი სესხის გაგრძელების ჩათვლით, 112 მილიონი აშშ დოლარია.

სესხები გაიცა 1998 (38.7 მილიონი ამერიკული დოლარი), 2006 (10.0 მილიონი ამერიკული დოლარი) და 2010 (20,0 მილიონი ევრო) წლებში სადგურის თავდაპირველი რეაბილიტაციისთვის, ევროპის კავშირის, იაპონიის მთავრობის, KfW-ს, EIB-სა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით.

პროექტის შემდეგი ეტაპი დაფინანსდება 38 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გაგრძელებით, ევროპული კომისიისა და საქართველოს მთავრობის მხრიდან შესაძლო თანადაფინანსებით პროექტის დანარჩენი ხარჯების დასაფარად.

პროექტის ღირებულება

45,000,000.00 ამერიკული დოლარი

სესხის გაგრძელების პროექტის ღირებულება შეფასებულია 45 მილიონ ევროდ, რაც პროექტის ჯამურ ღირებულებას, ევრობანკის მიერ დაფინანსებული ყველა ფაზისთვის, 170 მილიონ ევროდ (186 მილიონი აშშ დოლარი) აქცევს.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები

დასაწყისისთვის პროექტს მიენიჭა B/1 კლასიფიკაცია, რაც ითხოვდა პროექტთან დაკავშირებული მთავარი გავლენების შეფასებას და არსებული ობიექტების გარემოსდაცვით აუდიტს. ეს ყოველივე განხორციელდა საერთაშორისო კონსულტანტების მიერ, როგორც პროექტის მოსამზადებელი ფაზის ნაწილი.

სესხის გაგრძელება, რომელიც ამჟამად განიხილება, კლასიფიცირდება B კატეგორიად (2014). ივარაუდება, რომ ენგურჰესის სქემის კომპონენტების რეაბილიტაციას, ისევე როგორც რეზერვუარის ნალექების მართვას, ექნება ისეთი გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენები, რომლებზეც შესაძლებელია სწრაფი რეაგირება.

ხსენებულ პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ტექნიკური კვლევა ბანკის შიგნით ჩატარდა. კვლევის შედეგად შემოთავაზებული სამუშაოები, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ წარმოადგენს გარემოსდაცვითი გავლენების შეფასების საგანს.

ტექნიკური კვლევის შედეგად გამოვლენილი მთავარი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები შემდეგია: (i) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროფესიული რისკები, რომლებიც უკავშირდება მილსადენებისა და გვირაბების რეაბილიტაციას. (სამუშაოები უნდა ჩატარდეს სიმალეზე, მიუდგომელ ადგილებში, სადაც წყლის საგრძნობი ინფილტრაცია შეინიშნება), (ii) ნალექების მართვისთვის შემუშავებული გრძელვადიანი გადაწყვეტილების მდგრადობა და (iii) კონტექსტუალური რისკები, რომლებიც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სამუშაოები უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს.

გამოვლენილი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მიზნით, მომზადდა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც უკვე შეთანხმდა უნგურჰესთან.

პროექტი ისეა სტრუქტურირებული, რომ შეესაბამება ევრობანკის შესრულების მოთხოვნებს (PR).

მოხდა სასათბურე აირების შეფასება, რის შემდეგაც სავარაუდოა, რომ პროექტი, დანაკარგების შემცირების ფონზე, გაზრდის წარმოებას 250 გეგავატ/საათით, რაც, ევრობანკის სასათბურე გაზების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, წლიურად 83.25 ტონა ნახშიროჟანგის შემცირების ტოლფასია.

ტექნიკური თანამშრომლობა

„ენგურჰესის ჰიდროლოგიის ინიციატივისთვის“ გამოიყოფა 450,000 ევრო ტექნიკური თანამშრომლობის ფონდიდან, რათა მოხდეს მდინარის აუზის კოორდინაცია და მონაცემთა გაზიარება კერძო და საჯარო სექტორების ჰიდროელექტრო ოპერაციებს შორის, რაც ხელს შეუწყობს კაშხლის უსაფრთხოებისა და ელექტროენერჯის წარმოებისთვის საჭირო ოპერაციული პროცედურების გაუმჯობესებას, კლიმატური ცვლილებების გავლენით გამოწვეული ჰიდროლოგიური ცვალებადობის ზრდის ფონზე.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

მალხაზ ცქვიტიშვილი

malkhaz@engurhesi.ge

+995 322189669

www.engurhesi.ge

პოლიტკოვსკაიას ქ. 8. 0186 თბილისი, საქართველო

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის, დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს:

ტელ: +44 20 7338 6794;

ელ-ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

projectenquiries@ebrd.com

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას.

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი EBRD-ის ანგარიშგების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას. საჩივრები უნდა ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზიანი.

საჩივრის შეტანის პროცედურების გასაცნობად, გთხოვთ, ესტუმროთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ვებგვერდს. საჩივრის შეტანასთან, ისევე როგორც რეგისტრაციისა და დაშვებადობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული კითხვებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საჩივრების ოფიცერს (pcm@ebrd.com), გასაჩივრების მექანიზმის პროცედურების წესების შესაბამისად.